27 აპრილი, 1908 წ.                ფასი ყველგან 10 კ.

იუმორისტ. ჟურნალი




№ 28



დუმამ დასდვა ორი კვერცხი.

## სამი დედალი.

დედაბერს ყავდა ერთი დედალი;
სულ კაკანებდა,
გითხრა მართალი...
კვერცხი არ სჩანდა „ნაყოფიერი“
იჯდა ბებერი
მუდამ მშიერი...
დაკლა დედალი... სხვა გაიჩინა...
კვერცხი არც იმან
გამოაჩინა!!
ვეღარ დამალა მოხუცმა წყენა
და ამ დედალსაც
ის გზა უჩვენა.
თან დაიფიცა: ამ მოდგმის ქათამს
იმის ეზოში
ვერავინ ნახავს.
იშოვნა კრუხი „ნაქები“ ჯიშის
(თუმცა კაკანი
ამანაც იცის).
ნაგავში ქექა საშინლათ უყვარს
ხელი და პირი
საოცრათ უყარს,
მაგრამ შეხედეთ, ეს ბოლონდელი
აკი გამოდგა
კვერცხის მდებელი!!
ჯერ არ სჩანს თუმცა ორისა მეტი,
(გზა ამურისა
და ბიუჯეტი)
მაგრამ ბებერი მადლიერია...
ისიც რომ დაკლას??
შენი მტერია!!!
ბებერს სიცოცხლე არ უწერია.

ტოროლა.

# ,,ზ უ ბ რ ე ბ ი''

და

## ზუბრთა სკოლა.

ქართულ-რუსული, თათრული,
,,ზუბრი'' ,,ზუბრია'' ყოველი—
გადაგვარების გზათ მდგომი
და იშვიათი ცხოველი.
მაგრამ სამშობლო ,,ზუბრებსა''
სხვაც ბევრი დასდევთ ელ-ფერი:
(მარტო ის რათ ღირს, რომ ყველას
თავი ჰგონია „ეს-ფერი???“)
გამცემლობაში მუდამ ჟამს
ქებულა „ზუბრთა“ წოდება,
მუდამ სიმღერათ ჰქონია
„დაბალი“ ხალხის გოდება.
გასცეს მამული მრავალჯერ,
გაჰყიდეს ქრისტეს რჯულიცა,
პირად ანგარიშს ანაცვლეს
სამშობლოს ,,სიყვარულიცა''.
თუ კი რამ ფულში გაიცვლის,
,,ზუბრს'' არრა დაეზოგება,
იგი არ არის ვაჭარი
არც დიდი უყვარს მოგება.
,,ეპოლეტები'' *) ხომ ,,ზუბრებს''
უყვართ სულ გასაშტერათა...
(ზოგიერთები ითხოვდენ
ნაბადზე დასაკერათა).
მიზანი მათი ,,ჩინია'',
ლოთობა,—მათი ტაქტიკა,
,,ტარიელ მკლავაძეობა''
ყოველ-დღიური პრაქტიკა.

II

ძველათ დრო იყო კეთილი
ულვაშებს ჰქონდა ფასობა
არ იყო მაშინ პარტია,
არცთუ მესამე დასობა...
განცხრომას მიეცემოდა
,,ლუარსაბ-დარეჯანითა''
ზუბრთა წინაპრათ ცნობილნი
ღირსებით ყოველგვარითა.
მაგრამ წარვიდა ნეტარი
ძველი დრო, ძველი ხანები,
ლვარსაბის ნაცვლად ,,ზუბრებში''
გამრავლდენ ,,დურმიშხანები''.
დააგირავეს, გაჰყიდეს
რაც ქონდათ გასაყიდელი,
და შერჩათ ქვეყნის სამასხროთ,
მარტო ,,ზუბრობა'' შიშველი.
შერჩათ აგრეთვე ტაძარი,
ვერისა ბოლოს მდგომარე,
(ერთხელ რომ დავასურათეთ
გუმბათზე ბუდა მჯდომარე).
ესე ტაძარი დიადი
და ფეხ-გადგმული სრულათა
როგორც ხმა დადის ჩვენ ,,ზუბრებს''
სურთ გადასცვალონ ფულთა.
თუმცა მის აშენებაში
სხვებსაც შეჰქონდათ ,,წვლილები''
და რატომ მათ არ ჰკითხავენ
ეს დალოცვილიშვილები!
ცხადია ამა ქამანდით
ვინმე გაიკრავს ჩინებსა,
(ეპოლეტისთვის ბრძოლაში
ზუბრებს ვინ შეაშინებსა?)
ნიკო ცხვედაძე იმ სკოლას
შვილივით შეიყვაროდა,
მუდამ დღე წყნეთის ვაგონით
ცერისკენ დაიაროდა.
არა ზოგავდა ძალ-ღონეს
რომ საქმე მოეგვაროდა,
ცხადია მისი დანახვა
თითონაც გაეხაროდა.
მაგრამ ზუბრებსა, როგორც ვთქვი
სულ სხვა აქვთ არშინ საზომი:
ქანქარი უყვართ უზომოთ
გასართობ-გამოსაძლომი.

III

დღეს და ხვალ კიდე ვუყუროთ
ეს ხმა თუ გახდეს ჭორათა,
თუ არ დაგვჭირდეს მათრახი
,,ზუბრების'' გასაჯორათა.
და თუ გამართლდეს ამბავი
ერთი მივუზღო ორათა
,,ეპოლეტ-მუნდიროვანი''
უჩანდეთ ანაფორათა.

ეშმაკი.

* * *

ახმაურდი, ჩემო ჩანგო!
და აძგერდი ჩემო მაჯავ!
შენ კი, სევდავ, გულის მკვლელო,
გამეცალე ნუ-და მტანჯავ!

*) „ეპოლეტები“ დაარქვეს
პაწა, ბჭყვრიალა კარდონსა,
და ამ პატარა ფირფიტამ
გონება ულრძო რამდონსა!!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდი, მუზავ, მოახლოვდი!
გაგახსენდე მეგობარი,
უშენობით, მარტოობით
უნუგეშო გულ დამწვარი.
ისიც კმარა, რაც ვიტანჯე
და განვლიე მწარე დღენი,
ვარ ბევრის თავ გადამხედი,
ბევრის მომსწრე და მომთმენი:
მყავდა სატრფო გულის სწორი,
მეც ვიცოდი სიყვარული,
ის ხელიდან გამომტაცეს,
მომიხერხეს საქმე მტრული.
გავიჩინე მეგობარი,
ძმათ საფიცი, სათაყვანო,
ისიც მოკლეს და ამ ქვეყნათ
შევიქენი კვლავ ბოგანო.
დავრჩი მარტო, მაგრამ რა ვარ?
—სხვისი მონა! სხვისი ნება!
და სიცოცხლეც ამ პირობით
ვინ არ იცის, რა იქნება?
სულ შემძულდა აწმყო კრული,
ვცხოვრობ ისევ მომავალით
და მსურს, რომ მას ვმსახურებდე
მთელი ღონით, მთელი ძალით!
მაშ, აჟღერდი ჩემო ჩანგო!
და აძგერდი, ჩემო მაჯავ!
შენ კი, სევდავ, გულის მწველო,
გამეცალე! ნუ-ღა მტანჯავ!

**ნ. ზომლეთელი.**

## დიაცთა გოდება.

საორსულო კასაში
შეგროვილან ქალები,
ცრემლის ნაკადულებით
ჩამოსტირისთ თვალები,
კასა გაკოტრებულა
დასდებია ვალები.

**კეკელა** (მოსთქვამს)
ვაჰ ჩემს უბედურებას,
ვაჰ ჩემს ბედკრულ თავსაო,
რა უეცრათ გაკოტრდა
ე ოხერი კასაო.
ქა, სად ჭირში წავქვავდე,
რაღა უთხრა ქმარსაო,
თუ გამიგო ხო მომკლავს
ცხვირში მადენს ძმარსაო.

**ოსანა** (მოუტირებს).
დედაკაცო, რას ამბობ,
შენ ჩემი იკითხეო
მეც მეუღლის ქამარი,
„ლომბარდს“ დავუწინდრეო.
ორი გროში თუ მქონდა
ტანჯვით მონაგარიო,
აქ ჩავლუპ-ჩავაოხრე
მოვატყუე ქმარიო.
ახლა რავქნა არვიცი,
რა წყალს მივცე თავიო...
ქა ასე თვალ-ხილულათ
როგორ გაგვძვრეს ტყავიო...

**მართა** (თვალ ცრემლიანი).
ქა, მეც სახლში დავტოვე
ბავში ძუძუ-მწოვარი...
რავქნა, შინ მიმჟავდება
გოგო გასათხოვარი,
მივაგ-მოვაგირავე
ქვაბები, სამოვარი,
ვფიქრობდი: ფულს ვიშოვი
ე მოგება ხო არი,
აქ კი ჩემ გროშებზედაც
როგორ მტკიცეს უარი...

**სონა.** (ქვითინით).
თქვენ ნეტა რა განაღვლებთ
ქალებო ამ ჯერაო,
ქმარმა ხელი შეგახოთ
როგორღაც არ მჯერაო.
ჩემმა, როგორც გაიგო
რომ კოტრობს კასებიო,
შეხეთ, როგორ საშინლათ
დამილურჯა ყბებიო,

**მარო** (მწარე ოხვრით)
ჯანდაბას, რო არ ვიყო
ჯვარდაუწერელიო,
იქნებ ახლა სატრფომაც
ქე ამაღოს ხელიო.

**ფეფელა** (წყევლით)
ქა, რას ბრძანებთ, მძრახავენ
ჩემი მეზობლებიო
და მგონია ჯავრისგან
ჭკვაზე შევიშლებიო.
ახლა აღარც ცოცხლებში,
არც მკვდრებში ვითვლებიო
ყველა დავაგირავე
ვერცხლი, სპილენძებიო*).

**მ. ღელაშვილი.**

*) „ქალს თმა გრძელი სჩვევია
მოკლე მხოლოთ ჭკუაო“
და სჩანს ესე ანდაზა
ყოველთვის არ სტყუაო.



# ორი ეშმაკი.

## „სინდისიერი“ რეპორტიორი.

(ვუძღვნი ხეობელს)

„Роль моя скромна: я выполнилъ чисто репортерскую обязанность“. г. Хеобели.

**პირ. ეშმაკი.** „სინდისიერი“ რეპორტიორი,
არც გაგონილა
ამისი სწორი!
ათი ამბავი თუ მოიყვანა,
შიგ ურევია
თორმეტი ქორი...
„სინდისიერი“ რეპორტიორი,
აღარ ნახულა
ამისი სწორი.



**მეორე ეშმაკი.** რეპორტიორი, გითხრა მართალი,
არც კი მსმენია
ამის ბადალი.
ტახტების ქვეშე ქვეწარმაკლობით
სტომაქზე ტყავი
აქვს გადამძვრალი.
რეპორტიორი, გითხრა მართალი,
არც იყოს ქვეყნათ
ამისი ცალი!!



**პირვ. ეშმაკი.** რეპორტიორი „სინდისიერი“
ქვით, სხვა ესეთი
სვე ბედნიერი!.
კარების ვიწრო ჭურჭუტანიდან
„ცნობებს“ კრებს, როგორც
შპიკი მშიერი...
რეპორტიორი „სინდისიერი“
ქვით ამისთანა
სვე ბედნიერი!!

**მეორე ეშმ.** რეპორტიორსა, ესოდენ „გმირსა“,
ვერ ნახავ მთელი
დუნიის პირსა,
სიმთვრალის ჟამსა ამირანობდეს,
ფეხიზელი იჯდეს
ლოგინსა ძირსა..
რეპორტიორსა ესოდენ „გმირსა“
ბევრს ვერ შეხვდებით
დუნიის პირსა.

**პირვ. ეშმ.** რეპორტიორი ესდენ ,,ზნიანი‘,
მოვლენა არის
ერთობ გვიანი...
დაგწამოს ცილი და სამართალზე
ატკაზი გითხრას
თავაზიანი!!
რეპორტიორი ესდენ ,,ზნიანი‘‘
მოვლენა არის
ფრიად გვიანი....

---




მუზეუმი 2097 წელს.




ტიმოშკინის გამარჯვება.

## დაგვიანებული მილოცვა.

(ბ. დიმ. გიგინეიშვილს)

ქრისტე აღსდგა! მოგილოცავ
ფსიხოპატო დიმიტრაო,
„ეს-ფერებსა“ ნუ მოაკლდეს
შენისთანა კიდევ სხვაო.
„დურმიშხანათ“ რომ ვარგიხარ
ეს დღესავით ცხადიაო,
ჰკუით კოტრო, მაწანწალავ
ვიცით რაცა გწადიაო.
შენი ბრძოლა იდეური
კრივია და გინებაო,
მუდამ სხვისას მოყიალეს
რაღა დაგერცხვინებაო.
იწანწალე, ძმაო, მაგრამ
ის ნუ დაგავიწყდებაო,
რომ: „კამეჩის მოჭიდავე
ხარს, რქები არ შერჩებაო“.

**ყიამეთი.**

---

## ხუცის სიმღერა.

(ვუძღვნი ხაშმელ მოძღვარს)

ივრის ხეობის მღვდელი ვარ
კახეთო, ქვეყნის თვალოვო,
ტიკს ვეტრფი, ტიკის ჭირიმე,
ტიკს უნდა ვენაცვალოვო...
დუქნის კარებზე გამოვალ,
როცა გადავკრავ ცოტასო,
და გლეხებს ვძლევ „რეჩებით“
აუხსნი მადლს და ცოდვასო.
ვეტყვი: „შვილებო, გლეხებო,
შემოიკრიბეთ ჰკუაო,
ნუ თუ არ იცით ხუცესთან
სოციალისტი სტყუაო?
გწამდეთ ქელეხიც, წირვებიც
თუ კი გწამთ ქრისტეს რჯულიო,
განა იესომ არა სთქვა,
მოძღვარს მიეცეს ფულიო??
ხუთი მანეთი საშვიდო,
თუმანი საორმოცოვო,
თუ არ გაიღე რით გინდა
ცოდო რომ წარიხოცოვო.
ყურს ნუ მიუგდებთ, შვილებო,
ბიჭ-ბუჭებსა და ბალღებსო,
სიტყვა უსმინეთ მხოლოთ მღვდელს,
სამოთხის კარის გამღებსო.
სამოთხე ნეტარებაა
და ვისაც გინდათ ცხონდეთო,
მღვდელს საწირავათ მიეცით
ქანქარი თუ რამ გქონდეთო.

იადონი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მესტვირული.

წყალმა წამართვას ორჭოფი
ნაცნობი, მეგობარიო,
სიტყვით და საქმით სხვა-და-სხვა
ცხრა რჯულა, მრავალ გვარიო;
ფეხის ლოკვით და ლაქუცით
ქურდულად გამაძღარიო,
„ლუკმისთვის“ გამრუდებული
იუდას შესადარიო.
ჭირმა მომიკლა სულ ყველა
ლაქლაქა მოუბარიო,
რომ „სულთა თანით“ დავმარხო
ისედაც უკვე მკვდარიო.
მეგობრად შემრჩა ქამანჩა
იმას ვერ ვუთხარ ვარიო,
და სტვირი მაზედ მობმული
ტკბილი ხმით მოუბარიო,
ეს ერთად ერთი იმედი
ქონება უდევარიო,
თან დამაქვს, დავალ უშიშრად,
იციან ჩემი გვარიო,
ასე მგონია, ბათუმი
ჩემია ნახევარიო.

სხდომასა ერთსა მივადექ
არ მოვაშორე თვალია,
საქვეყნო საქმე წყდებოდა
ორს შუა სამართალია.
(მოწმე თუ ყალბობს ვინ ახსნას
ვინ სტყუა, ვინ მართალია)
ძიობდენ როგორც მოითხოვს
საქმის წესი და ვალია;
სამი მოჩანდა მოწმე
ამათში ერთი ქალია.

წამოდგა მოწმე პირველი,
(ამშვენებს გრძელი წვერია)
და მოახსენა მსაჯულებს:
„დეიქცა თქვენი კერია!
ნეტა ვიცოდე აქ მოწმეთ
ვინ მნიშნავს, ვინ ოხერია?
ნაბრძანები მაქვს, არა ვთქვა
მე ჩემით არაფერია.
„ვოზდერჟივაიუს“, არ გეტყვი,
ვინ სტყუა, ვინ რაფერია!“
(ამას კუდინი რას უზამს,
მათრახი შესაფერია).

მოწმესა ჰკითხეს მეორეს:
რა იცი რა ამბავიო,
ამ ორში მოციქულათო
ამბობენ,—შენ იყავიო?
მან მოახსენა: „ტერ ასტვაწ!
მეც დამანებე თავიო,
„ვოზდერჟივაიუს“, ვერ ვიტყვი,
რაც გსურდეს ის მიყავიო!“
(მადლია ამას რომ ასძრეს
მათრახით ზურგზე ტყავიო).

ასული იგი წამოდგა,
მორთული ვით, პეპელაო
(ბათუმში მას უწოდებენ:
„ეს ძველი ცისნათელაო“)
და მოახსენა მსაჯულებს
ნაზი ხმით, ისე ნელაო:
„ვოზდერჟივაიუს“, არა მსურს
ვთქვა მე რაც ვიცი ყველაო,
(ახია ამის ზურგისა
მათრახით ერთხანს ზელაო).

განაღა ითქმის სიგლახე
ამაზე უარესია?
ამათ წყვიდინი ეკუთვნის
ვითა რიგი და წესია,
კუდინისა წილ მათრახი
ათასჯერ უკეთესია,
(დეე მომკლას ყოველმა
რაც ქონდეს დანათესია).

**ბლიკვაძე.**

---

## ბათუმისათვის.

კიდევ მოვმართოთ მათრახი,
ბეჭების ამცხუნებელი,
თანვე მზად გვქონდეს ბოთლებით
კუდინი საპკურებელი,
ნუ გამოგვრჩება გმირები,
მოვინახულოთ ყოველი
და ვუწყვიტინოთ, ცხუნების
ღირსი აღმოჩნდეს რომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კავშირებს პროფესიისას**
წელში გაუჯდა წელკავი,
სიცოცხლეს აღარ იჩენენ,
ძილში ჩაურგავთ მათ თავი,
წევრები გულგრილობისთვის
სწორეთ ხავთ გასალახავი,
ვსცხოთ კუდი იარაღისა,
ბეჭებზე გადასაკრავი...
**ასოთ-ამწყობთა** გმირობა
არ ერთხელ მოხსენებულა
და კუდი ჩვენი მათრახის
იმათთან ხშირათ ხლებულა,
კუდინიც იმათ მუცელში
ყანწებით გადაშვებულა,
მარა გმირობა იმათი
მაინც არ გასწორებულა.
**ქართული სკოლის კომიტეტს**
უყვარს ძილი და მთქნარება,
არც კრებას იწვევს, არც ძალუძს
საწევრო ფულის აღება,
ისე კი კომიტეტისა
მოსწონს სახელის ტარება?
ნეტა ვიცოდე იმათ ზურგს
მათრახი გაეხარება?
**საშა შატილოვს** ეკუთვნის,
რომ ვუთხრათ მცირე ლექსია,
ზარმაცობისა მიზეზით
არ წაიკითხა ლექცია,
ამიტომ კუდი მათრახის
მის ზურგზე დასალოცია,
გადავაკვრიოთ, არ აწყენს,
კუდინის წვეთიც ოცია.
**იურკევიჩი** ქოხმახსა
თეატრათ გაასაღებსა
და წარმოდგენის გამმართველთ
აძრობს ოთხკეც ტყავებსა,
რისთვისაც ჩვენი მათრახი
მის ზურგს ნუ შეიბრალებსა,
თანვე მივართმევთ უძლომელს
კუდინით სავსე ყანწებსა...

**კენტი.**

---

კვნესა ჩაგრულის..

—

ტყე ბიბინებს! ირგვლივ ბნელა,
სძინავს ქალაქს, სდუმს სოფელი,
გაზაფხულის მწვანე სამოსს
მოუქარგავს მინდორ-ველი...
სულიერნი ბუნებისას
განიცდიან ცხოველ ძალას,—
მხოლოდ კაცის კვნესა ესმის
ტყეს და იქვე მწვანე ჭალას...
უმეცარნი ხალხის შვილნი
შესევიან დღეს ამ სოფელთ,
და დღითი-დღე იქვე ტყეში
ხვრეტენ გლეხებს, „ბატონთ“ მგმობელთ...

იქ, უღრან ტყეს თოფის ჭექამ
უცბათ გმინვად დაუარა,
იდუმალი მისწყდა კვნესა,
ხან თხოვნა და ხან მუდარა!
საზარ ხმაზე დაფრთხენ ჩიტნი,
ტყე შიშინებს, კვნესის მთაცა...
ქარმა კი ის მიმწყდარი ხმა
კვნესა—ზეცად აიტაცა.
და უამბო ღრუბლებს...მთვარეს,
ბოლოს ჩადგა, თითქოს მისწყდა,
მაგრამ კვნესა კვლავ აქ დარჩა,—
ის ზეცამდე ველარ მისწვდა.

**იასამანი.**

---

## სპეშაკუდინის „ზაკაზები“

(ხონის რაიონიდან),

თანამოღვაწევ ეშმაკო! გთხოვ ამ ჩემს წერილის მიღების თანავე გამოგზავნო ფოსტით სპერმაკუდინი შემდეგ პირების სახელზე:

1. **თეატრის კასას ხონში,**—რათა განიკურნოს იმ სისუსტისაგან, რომელსაც განიცდის ის ილია რუხაძისა და ილია მამფორიას სცენაზე თამაშისათვის სასყიდლის მიცემით.

2. **ისიდორე წიწივაძეს ხონშივე,**—ერთგულ აბლაკატობისათვის.

3. **ნიკოლოზ კიევსკის, აქავე,** ვინაიდან დვინის სმით დასუსტდა.

4. **გერასიმე მელაძეს, აქავე,** თეთრ რაზმში მოღვაწეობისათვის.

5. **ერისტო მელაძეს ს. მათხოჯში,** საზოგადო დუქნის „მშვენივრათ“ წარმოებისათვის· თან მოწერე: „მამაშენი ნალბადი იყო და შენ ხარაზობას რა გჭიდათქო.“

6. **ნიკიფორა მელაძეს მათხოჯშივე,**—„დურმიშხანულ“ წანწურწულებისათვის.

7. **ჯიბილა მელაძეს, აქავე,**—ვითარცა უპოეტესეს „არტელისტს“ (ფოთის), ვინაიდან „მუზა“ დაუძლურებია და „თხზულების“ მეტი, რომელიც გერასახუროძის დუქანში გასაღა, ჯერ ვერაფერი დაუწერია (ეშმაკო, რა პოეტია რო იცოდე? მოიწვიე ძმაო თანამშრომლათ, გირჩევ!)

8. **ლადიმა ფირცხალავას, აქავე,** სხვა და სხვა საქმეთა „გაიმასქნისათვის.„

9. **ერისტო ბარაბაძეს, აქავე,** ქურდობისათვის.

10. **მამასახლისს ლენტორ სანოძეს ს. ნახახულებში,** „დიდის მოღვაწეობისათვის“ და ამასთანავე ქურდებისტერ იოანა მონიავასთან მეგობრულ კავშირისათვის, რაც დაუმტკიცა აღდგომას სტრაჟნიკებითურთ ვიზიტის გაკეთებით·

11. **პლატონ ფიჩხაიას,** ამავე მამასახლისთან "მოსე მწერლურ“ მწერლობასათვის.

12. **მღვ. ნიკიფორე ბარაბაძეს, ს. საწულიკიძეოში,** ვინაიდან დრამისათვის პოლიციაში სიარულმა ერთობ დაასუსტა:

13. **გალინე ნეფარიშვილს ს. მათხოჯში,**—მოწაფეების გატყავებისათვის.

**შენი ეშმაკუნა.**



ღმერთო ჩემო! რაღა ჯანაბაზე ვსწერო!!

* *
*

ცუდი დროება დაუდგა
ახლანდელ რედაქტორებსა!
(ყველა გუნია არ არის
ხიფათს ვერ აიშორებსა.)
პროვინციიდან მწერლები
უხვათ აწვდიან ქორებსა,
თუ სატუსაღოს გაექცა
სხვა ვინმე გააგორებსა.
(განა ცოტაა ოხერი
მათკენ რომ იწვდის ტორებსა?!)

---

## დამსახურებული თავადი

დავით ნიჟარაძე.

**სიყრმე დავითისი.** გასული საუკუნის შუა წლებში, ქუთაისის მახლობლათ (სოფ. ობიშქვითში) დაიბადა ყრმა, რომელსაც წმინდა ნათლის ღებაზე დაარქვეს დავითი. ბეჭდვითი ისტორიამ არაფერი იცის დავითის სიყრმის ცხოვრებაზე, გარდა იმისა, რომ პატარა დავითს აშკარათ ეტყობოდა რაინდულ-ტარიელური მიდრეკილება.

**ქუთაისის გიმნაზიაში.** სწავლისათვის მომწიფებული ჭაბუკი, დავითი, მშობლებმა ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს, მაგრამ მისი ფართე ბუნება, (როგორც უმეტეს ნაწილათ თავადებისა), ვერ მოთავსდა სასწავლებლის ვიწრო კალაპოტში და მეოთხე, (საკნიაზო) კლასს აღარ ასცილებია. მიუხედავათ ამისა, დავითის ბუნებრივმა ნიჭმა ვერ დამალა თავი და გარეშე ცხოვრებაშიაც ღონივრათ გაშალა ფრთები.

**კანდიდატობა აზნაურთა ბელადობაზე.** ოცდახუთი წლის წინეთ ახალგაზრდა დავითმა მთელი ვლათ იყარა კენჭი თავად-აზნაურთა ბელადობაზე. მისი ნიჭი, ახოვნება და გამოცდილება სავსებით დააფასეს ამრჩეველმა აზნაურებმა და ბელადათ დავითი აირჩიეს. აქ გამართლდა ქართული ანდაზა, რომელიც ღაღადებს: „როგორიც მრევლიო, ისეთი მღვდელიო".

**დავითი ბანკში.** დავითის მოღვაწეობა დღითი-დღე ფართოვდებოდა. მას შემდეგ, რაც „ზუბრთა" ბანკს კალისტრატეს აპეკუნობა ჩამოაშორეს და ულხო ქიისუფალი დაუნიშნეს, ზედამხედველ კომიტეტში რასაკვირველია დავითიც მოხვდა. ამ თანამდებობით მან დიდი გავლენა მოიპოვა და საქანქრეთში სრულიად გაბატონდა. ამ პერიოდის შესახებ ქუთათური პრესსა დიდ მასალას გვაძლევს. მაგალითისათვის მოვიყვანთ თფილისის მამულების გამგეთ საშას დანიშვნის ამბავს. როგორც კრებაზე გამორკვეულა, საშა კნიაზს მხოლოდ ორი ღირსება ჰქონია სახელდობრ: ზორბა მოყვანილობა და „ბაქარაში" დიდი გამოცდილობა.

**დავითის დასაჩუქრება.** ერთგული და უანგარო სამსახურისათვის ბანკის რწმუნებულთა ურა უმრავლესობამ („კუპეწი" ქეიშვილის წინადადებით და უცნობი გოგოლაშვილის დახმარებით) 10000 ქანქარი წაუთავაზა. დავითი ამისთანაობაში ძლიერ მორცხვი კაცია. ქანქრებზე უარი განაცხადა, მაგრამ ხომ იცით იმერლების ამბავი. იმდენი სთხოვეს, რომ დავითის კერპობაც გასტეხეს და ფულზე უარი აღარ ათქმევინეს. მართალია ეს დიდი მსხვერპლი იყო დავითის მხრივ, მაგრამ ბანკის სიყვარული რას არ ჩაადენიებს ისეთ მოღვაწეს, რომელიც სულიან-ხორციანათ ჩაფლულია საზოგადო საქმეში.

**„დავითაების" პარტია.** სახელმწიფო დუმის არჩევნებმა, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი უდღეური პარტია წარმოშვა ჩვენში და მათ შორის „დავითაების" პარტიაც. ეს იყო დავითის პირმშო შვილი და პირველ დამარცხებასთან ერთად ბოლოც მოეღო. დავითაების პარტია პოლიტიკური რწმენით წმინდა იმერული მიმართულებისა იყო. სხვა პარტიათა შორის „დავითაები" ასე იდგენ: ფედერალისტებიდან მარჯვნივ, ავტონომისტებიდან მარცხნივ, ესერებიდან ჩრდილოეთით, სოციალდემოკრატებიდან სამხრეთით.

**საარჩევნო მოღვაწეობა დავითისი.** როგორც აზნაურთა ბელადს, დავითს დიდი უფლებები ჰქონდა მინიჭებული სათათბიროში არჩევნების დროს. ისიც რასაკვირველია მოხერხებულათ სარგებლობდა ამ უფლებებით და სადაც საჭიროთ დაინახავდა, კრებას კისერს იმასუშობოდა. დაბა სამტრედიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან გააუქმა ერთი რიგი არჩევნებისა, მარა მეორეზედაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. იმავე სამტრედიის რაიონს მეორე დუმაში არჩევნების დროს გასაოცარი მამაშვილური მზრუნველობა გაუწია დავითმა. რადგანაც არჩევნების დროს იმერეთში საზოგადოთ დიდი თოვლი იყო და სოფლათ ხალხი ,,გაცივდებოდა'', დავითმა ყველა რწმუნებულები ქუთაისში დაიბარა და ორიოდ დღე აქაც აყუნცულა.



**ჭორები დავითის შესახებ.** განა სხვა ვინ არის ქვეყნათ ისეთი, რომ მტერი არ ყავდეს და ავი ენები დავითსაც საშინელ ხმებს უვრცელებენ საზოგადოებაში. ეს ჭორები უმთავრესათ შეეხებიან ჯარში გასაწვევ ახალგაზდებისაგან ქანქარის გამოიმასქნას. ,,იმერული ხუმრობა, ნახევარი მართალიაო'', ამბობს ქართული ანდაზა, მაგრამ ამ ჭორების შესახებ ჩვენ განსაკუთრებულ აზრს ვადგივართ.

ჭორების გავრცელებას ბევრი, სამსახურის პირებიც უწყობდენ ხელს. აი მაგალითად ერთ-ერთ ჟურნალში ვკითხულობთ: ,,ერთხელ დავითმა ნადიმი გამართა და გუბერნ. სმაგინიც მიიწვიაო. როცა სუფრაზე ,,პიროჟკები'' მოიტანეს, გუბერნატორმა მოკბიჩა და თან დ ვ ითს წასჩურჩულა: ,,კნიაზო, ამ ,,პიროჟკებთან'' ერთად ვინ იცის რამდენ სასალდათო ახალგაზრდას ვყლაპავთო''.

**ტარიელ-მკლავაძეობა.** დავითის ცხოვრებაში ალბათ ხშირი ყოფილა მიწევ-მოწევის პრაქტიკა, მაგრამ სასამართლოს კარებამდე მხოლოდ ბიბიკოვის ისტორიამ მოაღწია. ეს საქმე სულ ამ ახლო დღეებში გაირჩა. ბიბიკოვის ჩვენებიდან სხვათა შორის გამოირკვა, რომ დავითთან უთანხმოების ერთ-ერთ მიზეზთაგანი ყოფილა დავითის მიერ არჩევნებში ულირსი მოქმედება. ე. ი. კანონიერი კრების გაუქმება და ახალის დანიშვნა. ვინაიდან დავითი ძლიერ მოხეჩხებული კაცია და ყოველთვის მშრალი ამოდის წყლიდან, აქაც იოლათ გადარჩა და ორი კვირით ოჯახში დატყვევება მიუსაჯეს.

ამ ჟამათ დავით ნიჟარაძე ასე 52 წლის კაცია და განგების ძალით ალბათ ჯერ კიდევ კარგა ხანს ემსახურება ჩვენს ბეჩავ სამშობლოს.

**ანეკდოტი დავითზე.** როგორც ზევით მოვიხსენიეთ დავით.ზე ათასნაირ ჭორებს ავრცელებენ ,,გამოსარჩენის'' პრაქტიკის შესახებ. ერთხელ დავითი გუბერნატორს მიჰყვებოდა ქუჩაშიო, მოგვითხრობს ზეპირ გადმოცემა; მიიჭრა გუბერნატორთან ერთი გლეხი და დაუწყო თხოვნა-მუდარა, ეხმარა რამე საშვალება და გაენთავისუფლებია სალდათობიდან მისი შვილი. გლეხი მწარეთ მოსთქვამდა: ბ-ნო, დავით ნიჟარაძემ დამღუპა, იმას მივეცი ფული და იმის იმედით ვიყავიო. ეს ,,ეუცხოვა'' დავითს და კარგი საბუთიც მიეცა, ასეთი ჭორების უსაფუძვლობა ,,დაემტკიცებია''.

— შენ თითონ ნახე, ყაძახო, დავითი? შეეკითხა ის.

— დიახ ბატონო, ჩემი თვალით, მაღალ-მაღალი, გამხდარი კაცია, ჩოხით დადის სულ ბულვარის მახლობლათ*).

— შენ იმას მიეცი ფული?

— დიახ, იმას მივეცი ბ-ნო, ქვეყანა ასე ამბობს, თუ დავითს ხელს მოუთბობ, უთუოთ გადაარჩენს რაც უნდა იყოსო და რავა დავზოგავდი რამეს.

— რამდენი მიეცი?

— სამასი კაკალი მანათი ბ-ნო.

— იცნობ დავითს რომ შეგხვდეს?

— რას ბძანებთ ბ-ნო, იმას მოხარშულს ვიცნობ.

გუბერნატორი ძლიერ გაოცა ამ ამბავმა და მას შემდეგ დავითის ნდობა გაუორკეცდა.

ცხადი იყო, დავითის სახელით სხვები მოქმედებდეს.

**ისტორიკოსი.**

---

*) ამბობენ, ეს მაღალი და ჩოხიანი ყმაწვილი ვინემ ახვლედიანი არისო. ისტ.

МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უ მ უ შ ე ვ ა რ ნ ი

### II.

აი ოთახი ჩატეხილ ფანჯრით
კვნესის, ქვითინებს, როგორც სნეული...
ყურს არვინ უგდებს ბნელეთში მცურავს,
არვის შესტკივა იმისთვის გული!
ნეტა რას კვნესის ეს ნესტიანი?
რადა აწუხებს, უღონებს სულსა?
იქნებ საყვედურს უცხადებს კვნესით
მაზედ წამოდგმულს ოთხსა სართულსა?
მორთულ-მოკაზმულს თაიგულივით,
პირმოცინარეს, ვით პატარძალსა,
რომელიც თავის მშვენიერებით
ძნელათ იპოვის ტოლსა და ცალსა.
არა! იგი ხომ უენო არის
კმაყოფილია თავისი ბედით...
მხოლოთ შიგ კაცი, სარეცელს მწოლი
სიჩუმეს არღვევს ოხვრით და კვნესით.
ლოგინში მწოლარს დიდი ხანია
თავზე ახურავს ჩვრების საბანი,
შია, სწყურია... ღვთის ანაბარას
დარაჯათ უდგას ბნელი საკანი...
ისიც იქ არის, ვინც ქუჩის ბოლოს
წედან პურს ჭამდა გამალებული,
მაგიდას უზის მტვერით ჩაფერფლილს
ისიც ძალ-მიხდილ-გამოლეული.
არ ესმის კვნესა ლოგინში მწოლის,
დიდი ხანია აავლო ყური,
შიმშილმა, ფიქრმა მუდამ უბედურს
გაუქრო გრძნობა ამხანაგური.
იქნება დღეში ერთხელ ხმა გასცეს
და ისიც იმ დროს, როცა მკვნესარი
პურსა თხოვს... მარა ის ჩვეულებრივ
ეტყვის: „რას ამბობ, აბა სად არი?“
იქნებ ოდესმე, ორ დღეში ერთხელ,
სადმე უშოვოს პურის ნაჭერი,
ეს არის მისგან ამხანაგისთვის
ზრუნვა-მორება და ყველაფერი...
ფიქრით დასცურავს ბედშავ ცხოვრების
კუპრ-ჯოჯოხეთად ქცეულ ზვირთებში...
ცრემლიც მოწყდება ხანდიხან თვალით
შორს გადავარდნილს მწარე ფიქრებში...
აი წინ უდგას თავის სახლკარი:
სამი ქალ-ვაჟი, ძვირფასი ცოლი,
დედა მოხუცი, მტერი, მოყვარე,
ნაცნობი, ყველა თავისი ტოლი.
ორი წელია რაც არ უნახავს
მისი იმედით მცხოვრებნი სოფლათ...
ერთი შვილი სწერს: „მამა მოგვხედე“,
რათ დაგვივიწყე? ნუ გვტოვებ ობლათ...
ნუ თუ არ გახსოვს შენი ქალ-ვაჟნი:
ორი მოზრდილი, ერთი პატარა?
მოდი მამილო, მოგვიარევი!
უპატრონობამ ჩვენც გაგვამწარა...
საწყალი დედა მეტი არ არის:
შრომობს დღე-ღამე მოუსვენარი,
მაგრამ ჩვენთვის კი, მამილო, ლხენა
შენს თავს ვფიცავარ, რომ აღარ არი.
ვანო პერანგა დაიარება,
თავზე არ ხურავს, ფეხთ არ აცვია,
თითქმის ასეა საწყალი პელოც,
ეხლა მოზრდილი შენს დროს პაწია.
მეკი სკოლაში აღარ დავდივარ,
აღარ შემიშვეს, არ მქონდა ფული,
ეხლა, მამილო, შენ შემოგყურებ
უსწავლელობით გულ დადაგული...
მამასახლისმა დედის ნამზითი
ყველა წაიღო, თუ რამე იყო
და როგორც უწინ ძროხაც წაგვართვა,
და გაგვიყიდა, ჩემო მამიკო!..
კარგი ხანია, რაც სახლში გვიწვიმს,
სიმინდს რომ მუდამ ვთხოულობთ სოფლათ...
მამილო, მოდი, გემუდარებით,
ნუდა დაგვტოვებ შენს შვილებს ობლათ“...
ვინ იცის კიდევ რას წერს ცოლშვილი,
რას ეუბნება უსტარი მწარე,
რა მოუტანა სოფლიდან ამბათ:
ნაღველი, შხამი ან თუ ძიმწარე?
ეს იმან იცის, გულ ჩათხრობილმა,
მისს ფიქრთა ზღვაში ამოიკითხე!
დახეთ მისს აწმყოს, დახეთ მისს სახეს,
მისს წარსულ სპეტაკს... სულ ყველას კითხეთ!
რა შეუთვალოს, რით გაამხნეოს,
რა რიგათ უთხრას ცოლშვილს იმედი,
როცა მას ისეც მშიერს და მწყურვალს
ბეწვზე ჰკიდია სიცოცხლის ბედი.
იყო დრო, როცა ორ გროშს იღებდა,
თვითონაც ჭამდა, აძლევდა ცოლშვილს,
დღეს კი ქუჩაში გამოსროლილი
პირის პირს უდგას შიმშილით სიკვდილს.
სამსალით სავსე მოგონებებით
შხამით ყლენთილი, გულ ანაძგერი,
ტოვებს ბნელ ოთახს, მკვნესარ ამხანაგს
კვლავ ქუჩად გადის ცხოვრების გერი!..

ვ. მალაქიაშვილი

---

## სცენა ოზურგეთში.

**ზურ.** გამარჯობა ჯიგეშის!
**ჯიგ.** ზურაბს გუუმარჯოს ღმერთმა!
**ზურ.** დიმიტრე მურვანიძე დეინახე ეგებადღეს?

**ჯეგ.** დანახვით კი დევინახე, მარა რაცხა ისე გაჯავრებული მირბოდა დღეს ფაიტონების კანტორიდან რომე რაღაც ცუდი ამბავი უნდა იყოს მის თავს.

**ზურ.** მართლა რავაა საქმე, ამბობენ იზვოშჩიკები გეიფიცენო, მართალია?

**ჯეგ.** არა, „იზვოშჩიკები“ კი არ გაფიცულან, ხაზეინები გეიფიცენ და იზვოშჩიკებს ჯამაგირს აღარ აძლევენ.

**ზურ.** ბიჭო და, მერე დიმიტრაი მგელაძე ცოცხალი არაა, რომ გაფიცულები მოაჭკვიანოს?

**ჯეგ.** ველარ მოგართვი, ხაზეინებმა ტყუილათ კი არ აჩუქეს ნიკოკიას პაი, ამისთვის უნდოდათ, და სადაც ნიკოკიეია, იქინე ხომ იცი რა იქნება?

**ზურ.** პოლიციამ ამის მეტი აფერი გაფიცვიზა?

**ჯეგ.** ნაჩანიქმა დეიბარა ხაზეინები და მუშებს ფული მიეციო უთხრა, მარა ფულის მიმცემი ხაზეინი არ ყოლია კამპანიას.

**ზურ.** დიმიტრაი ცეცხლაძე რა მოხელეა კაცო აბა?

**ჯეგ.** დიმიტრაი ფულის მიმღები ხაზეინია თვარა გამცემი კი არა.

**ზურ.** ფულის მიმცემი ვიღანაა ნეტაი?

**ჯეგ.** ახლა არავინ ჩანა და უწინ მოლა მასრადინას არ იყოს დიმიტრაი ცეცხლაძე. იყო

**ზურ.** რამდენი აქ ასაღები ნეტაი იზვოშჩიკებს ფული?

**ჯეგ.** კაი ცხრაასი ტლიკვი მანათი ყოფილა.

**ზურ.** ბიჭოს! უი, შენ დალოცვილო, ცხრაას მანათათ ხუთ დიმიტრას და ათ ნიკოკიას ვიყიდი. ქი არ გუუმარჯვებია ხაზეინებს!

**ჯეგ.** გამარჯვებას ჯერ კაი მოყოლა უკლია.

**ზურ.** მაშ იზვოშჩიკებს ხაზეინი არ ყოლია?

**ჯეგ.** მიცემის დროს არა.

**ზურ.** დიმიტრაი მურვანიძე რაღა მუანია აბა, სულ კანტორაში რომაა?

**ჯეგ.** პაწაი დიმიტრი დიდი დიმიტრის შუბლსაფარია და კიდეც იმიტომ მოკურცხლა შინისკენ.

**ზურ.** რჲვა, დიმიტრა მურვანიძესაც ემდურიან?

**ჯეგ.** არა, მარა დიდ დიმიტრის პრისთავთან რაღაც წაუიმასუქნია იზვოშჩიკებზე და პაწა დიმიტრეს შეშინებია, ვა თუ ეშმაკმა კუდინი დიდი დიმიტრის მაგივრად მე გადამაყლუწვიოსო და გაქცეულა.

**ზურ.** ამ ოჯახ აშენებულს, თუ ასე ეშინოდა, რაღას მიძვრებოდა შით, არ იცოდა რომ ჭირი თავს არ დამალავდა და გამომჟღავნდებოდა?

**ჯეგ.** რა უთხრა ნეტაი პრისტავს დიდმა დიმიტრიმ?

**ზურ.** რაიო და იზვოშჩიკები ბუნტოვშჩიკებიაო, პროკლამაციებით სავსე აქვენ ზანდუკებიო და წუხელის სახლზე მიმიწებესო.

**ჯეგ.** მერმე სიმონაი, ექვთიმაი და ხოსონაი ამიზა გამორიცხეს?

**ზურ.** არა, ამ სამმა კამპანიეს კრებაზედ ილაპარაკეს მონდობილობით და დიმიტრიმაც იგინი ამოიღო ნიშანში.

**ჯეგ.** მერმე და ვინ აარჩია იგინი მოლაპარაკეთ?

**ზურ.** დიმიტრიმ უთხრა მუშებს, ეირჩიეთ რამოდენიმე კაცი, რომ კრებას გააცნოს თქვენი თხოვნაო და მუშებმაც ეირჩიეს.

**ჯეგ.** ქე არ მოუტყუებია ბიჭო!

**ზურ.** მოტყუებით ვერაფერი მანდამაინც?

**ჯეგ.** ხომ გაგდეს იგინი?

**ზურ.** გამორიცხვით ქე გამორიცხეს მარა, იგინს იზვოშჩიკებიც ქე გამოეკიდა უკან და რაღას იზამდენ, უკანვე მიიღეს.

**ზეგ.** ყოჩაღ იზვოშჩიკებო, ამას ქვია ამხანაგობა.

**ზურ.** მაშ!

**ჯეგ.** ქი არ მოჯაყულა აგი უბედური ცეცხლაძე! ასეა ძმაო გლახა კაცის სახელი რომ გექვიება!

**ზურ.** არა ჩემო ჯეგეში! მაგი სახელის ბრალი კი არაა, გაუმაძღრობის ბრალია, დიმიტრის უნდა კამპანია დახუროს და მხოლოდ ფოშტა აწარმოოს, ფოშტა კი მის სახელზე არის. ბუნტოვშჩიკებს-იზვოშჩიკებს გაყრის, კანტორას მის დუქანში გადმეიტანს და ორნაირი სარგებლობა ექნება. მამიდასაც ვნახავ და კვიცსაც გავხედნიო, ხომ გაგიგონია, ასე იფიქრა დიმიტრემ.

**ჯეგ.** როვა დეიღუპა ხუთ-ხუთი თუმანი!.. კი მაგრამ საზოგადოებას თვალი ხომ არ გვაქ დაფსებული, ამას ვერ დევინახავთ?

**ზურ.** რამდენიც გინდა იმდენი დეინახე, ბახმაროს საზოგადოების არ იყოს ის მაინც მისას იზამს.

**ჯეგ.** როვა მიაას იჴამს, დიმიტრი ცეცხლაძეს რა უფლება აქ ჩვენა ფულებით ისარგებლოს.

**ზურ.** უი შენ დალოცვილო, არც ნიკოკიას და მიხელა ქადიეშვილს ქონდა უფლება იზვოშჩიკებიზა ჯამაგირი მიეკლო მარა, ხუთი სხდომა გამართეს საყასბოს უკანა ოთახში და როგორც იქნა მოაწერიეს ხელი სარევიზიო კომისიის წევრებს. ნიკოკიას და მის ამხანაგებს რევიზიის დარდი არ ქონდა, ოღონ ბუნტოვშჩიკი იზვოშჩიკები დიესაჯა და.

**ზურ.** ახლა მივხდი რეიზა გაქცეულა მურვანიძე. კაცო ჯერ ხომაა არიან ძველი იზვოშჩიკები?

**ჯეგ.** არიან მარა ოთხი მაისი აქვენ ვადათ და დიდ დიმიტრის და ვასილ ხუნდაძეს ქუთაისიდან გამოუწერიენ იზვოშჩიკები.

**ზურ.** მერე იგინი იმუშავებს აგინის ადვილზე?

**ჯეგ.** ერთი ორი ჯერ-ჯერობით ჩამეიყვანეს, იმერლები მარა რომ გეიგეს რაში იყო საქმე, მოკურცხლეს შინისკენ. ტყუილად გაუარათ ხაზეინებს ხარჯი.

**ზურ.** მევიჯაყეთ ბატონო, მევიჯაყეთ. მოკვეჭრა თავი!..

—ВЪ.

*
* *

როს ვხედავ მტირალ დატანჯულ დედას,
და ცრემლი მისი მიმატებს სევდას,
როს სულს მიხუთავს გასაჭირია,
ფუ ამ სიცოცხლეს რაში მჭირია?
როს აზრი წრფელი დაგმობილია
ერთობის ტახტი დამხობილია,
როცა გროშებზე ყიდიან მცნებას,
მითხარ რას ვაქნევ ასეთ ცხოვრებას?
ოდეს ტვირთ-მძიმე დუხჭირ ბედს სტირის
როცა გამრავლდა გამტეხი პირის
მსურს შევებრძოლო უკუღმართობას
თავი შევსწირო ძმობა-ერთობას.

დ. თურდოსპირელი.

## შეკითხვები.

### 1. ჯარიმის პატიების შესახებ.

უეჭველია მოეხსენება ბ-ნ ეშმაკს, რომ ამ წლის პირველ თვეებში ათასი ქანქარით ან ორი თვის ციხით დაჯარიმებულ იქმნა გაზეთი „ისარის" რედაქტორ-გამომცემელი ვალერიან გუნია; რომ დასასრულ მოხდა უმაგალითო საქმე და გუნიას ჯარიმა ეპატივა; რომ ამავე დროს წინანდელი რედაქტორი იმავე გაზ. „ისარისა" სადაც ჯერ არს იქ იჯდა? ვითხოვთ ყველა აღნიშნულ კითხვებზე შესაფერი პასუხი მოგვეცეს.

შეგნებული ეშმაკები.

**პასუხი „ეშმაკისი".** ბ-ნებო! ეს შეკითხვა თუმცადა არ არის კანონიერი გზით შედგენილ-დასაბუთებული, მაგრამ მაინც ვსთვლი საჭიროთ მცირეოდენი განმარტება მოგახსენოთ. ჩვენთვის გასაკვირი იქნებოდა, იქ მრავალ-მხრივი რეაქციონურ შავრაზმული მოღვაწეობის შემდეგ, რომელსაც ასე ხელგაშლით ეწეოდა გაზ. „ისარის" მამინაცვალი ვალერიან გუნია, მისთვის თუნდაც მცირე ზიანი მიეყენებიათ. მას შემდეგ, რაც გუნიამ მრავალ-გზის აატალახა იმათი კარები, ვისიც ჯერ იყო და მას შემდეგ, რაც ნათლათ აღუნუსხა თავისი სამოქმედო პროგრამა, სხვაგვარი განაჩენი შეუძლებელი იყო. მოგეხსენებათ: „ხელს ხელი ბანს და ორივე ერთათ პირსაო". საზოგადოებაში დიდხანს საფუძვლიანათ დადის ამ ინციდენტის შესახებ მრავალ-გვარი ხმები და ჩვენი ეშმაკური ინსტიქტი გვარწმუნებს ხუთი მესამედი იმ „ჭორებისა" სიმართლეზეა აშენებული.

რაიცა შეეხება თქვენ მიერ დასახელებულ უწინდელ რედაქტორს გაზ. „ისარისას", რომელსაც არ ეზოძა ასეთივე მოწყალება, უნდა მოგახსენოთ შემდეგი: ბ-ნი ავალიშვილი ჯერ ახალგაზრდა, დაუმსახურებელი კაცია და როგორც სჩანს ვერც ვერასოდეს „დაიმსახურებს" იმ მეგობრულ განწყობილებას ამა ქვეყნის ძლიერთაგან, როგორიც ვალერიან გუნიას საუკუნოთ მოუპოვა ნიშადურულმა „მამულის სამსახურმა".

### 2. „რაჟდენკას იაჩეიკის" და საზოგადოთ საამხანაგო სტამბის მუშათა შესახებ.

მოეხსენება თუ არა ბ-ნ ეშმას, რომ კარგა მოზრდილი ნაწილი ამხანაგობის სტამბის „შეგნებულ" მუშათა, შეგნებულათ გაურბის „ბეჭდვითი სიტყვის მუშათა კავშირს" და ეწერება ეგრეთ წოდებულ „რაჟდენკას იაჩეიკაში", სადაც თეორიულათ და პრაქტიკულათ გადიან ლოთობის უმაღლეს კურსს?

მოეხსენება აგრეთვე ის არა ნორმალური მოვლენა, ბ-ნ ეშმაკს, რომ იმავე სტამბის მუშათა უმრავლესობა კვირასთან ერთად ორშაბათ დღესაც უქმობს და ეძახის მას წმინდა პოხმელიეს დღეს. თუ მოეხსენება ეშმაკს ყოველივე ეს რა ღონეს იხმარს საქმის მოსაგვარებლათ.

ბახუსი.

**პასუხი ეშმაკისი.** ამხანაგებო! ლოთობა, ანუ ეგრეთ წოდებული „ტვინის შეხურება", ეს ძველთაგანვე მოსდგამს ჩვენი მამულის მკვიდრთ, განურჩევლათ შეგნება შეუგნებლობისა. მაგალითისთვის მოვიყვან ისეთ შეგნებულსა და დამსახურებულ პირთ, როგორიც ბრძანდებიან ბ-ნნი გუნია ვალერიანი და ცნობილი ხეობელი, რომელთაც ბახუსის სამსახურისა და ქუჩაში ხმაურობისათვის, მცირე ხნით*) (და შეიძლება შეცთომითაც) ვირის აბანოში უკრეს თავი. მაშ ეგრე. აქ მოქმედებს წმინდა მემკვიდრეობითი მიდრეკილება.

ამასთანავე საჭიროთ მიმაჩნია მოგაგონოთ, რომ დღევანდელი ხანა მუშათა შეგნებას ყოველმხრივათ „აღრმავებს" და ცხადია, რომ „მოწინავეები" უფრო ღრმათ ჩაეშვებიან სარდაფის სიღრმეში. თუმცა მაინცა და მაინც საჭირო არის



„რაჟდენკას იაჩეიკა"
ყველა პარტიას ჯობია!

ამ ბუნებრივი მიდრიკილების შეფერხება, გირჩევთ მაცნობოთ უფრო „ღრმა შეგნებულთა" გვარები, რომ მე მათ გამოუწერო შესაფერი დოზა ჩემ მიერ ახლათ მოგონილი უებარი წამალი **„ანტიბახუსინი"**-სა.

რაიცა შეეხება „წმინდა პოხმელიეს" უქმობას ეს თავის თავათ არ უნდა ვაძაგოთ. ხალხი რაც მეტს ილოცავს „შეგნებულათ", მით უკეთესია. სულ ახლო წარსულში, მეგრელებმა წმინდა მიკიტანი ილია კირთაძის ჩაგონებით, პარასკევი გააუქმეს, რამაც თქმა არ უნდა დიდათ დააწინაურა მათი ეკონომიური კეთილ-დღეობა.

მაშ ეგრე: მეტი უსაქმობა, მეტი ლოთობა და მეტი ლოცვა! ეს რეაქციის დღიურ წეს-რიგში შედის და საჭიროა „შეგნებულმა" ამხანაგებმა ცხოვრებაში მედგრათ გაატარონ თითოეული პუნქტები ცალ-ცალკე და ყველა ერთათ.

## სცენები ხევის ცხოვრებიდან.

**კობაი**—როგორა ხარ ჩემო თორღავ
ახალს რამეს მომიყევი,
რას იქმის კერძოთ სტეფანწმინდა
საზოგადოთ მთელი ხევი?

**თორღაი**—ეჰ, რა გითხრა მეგობარო,
შენს მტერს ჰქონდეს დღე ასეთი,
„ეშმაკმაც" რომ დაგვივიწყა
რაღათ გაგვიხსენებს ღმერთი?
თორემ განა გაგონილა

*) ცხადია ეს ინერციით მოუვიდათ ქუჩის მცველებს თავისი კაცები უცხოთ მიიჩნიეს; მაგრამ როგორც კი შემოწმდა მათი დამსახურებული ვინაობა მყისვე განათავისუფლეს კვალად ბახუსის სადიდებლათ.

რაცკი ხდება ჩვენში ახლა?
„სტარშინა“ თფილისს წავიდა
„პოვერნიაც“ თან იახლა.
თანვე ჰქონდა ბლომა ფული
„საქმე“ უნდა გაეკეთა,
ის ქუთაისს გადაფრინდა
იქ გუთნები შაუკვეთა
და ამ გვარათ სოფლის ფულით
გამოჰიმა გუთნის “სკლადი“,
(მართალი სთქვა ბოქაულმა
„ნეტ ჩილოვეკ“ ამის ფასი)...

**კობაი** —მაშ რისთვინაც გააგზავნეთ
იმ საქმისა რაღა ჰქნესა?
ან სასოფლო ყრილობაზე
პასუხათ რა წარმოსთქვესა?

**თორლაი** —რის პასუხი, რა პასუხი
რა ფლავი ან რის ბოზბაში?
დავიფიცეთ, რომ ეს საქმე
ჯერ არსად ვსთქვათ ყრილობაში.

**კობაი**—ასე რისთვის იქცევიან
ვერ მივმხვდარვარ ღმერთმან იცის
მიკვირს თუ რამ აიძულათ,
ან რათ ეშინიათ „ფიცის“?

**თორლაი**—ეს მიტომ, რომ მეორეჯერ
წასვლა მათვე დაავალონ,
მაგრამ მაინც მიუხედებით
როდემდინლა უნდა მალონ?
„სტარშინას“ ხომ კარგათ ვიცნობთ
და არც არის ეს პირველი,
„გამოსარჩენ„ საქმეებში
ხშირათ ჩაუყვია ხელი.

**ლ. მოხევე.**

---

## პატარა ვეფხის ტყაოსანი.

(გაგრძელება)

რომელმან შექმნა მათრახი კუდითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო ეშმაკს უბოძა თავის მაგარი დერითა,
ჩვენ, კაცთა, ხშირათ გვინახავს ამცხუნებელი წვერითა,—
მისგან გარბიან მრავალნი ზურგზედა სულის ბერვითა.

ჰე, ტარტაროზო, შენ შექმენ შხამი ყოვლისა გველისა
შენ დამიფარე გუნიას ჭორიდან, საძაგელისა,
მომეც შეძლება დათრგუნვათ იმ უბედი ხეობელისა
დანოსთა შემსუბუქება, რაც „ნიშადურით“ გველისა.

ვერ დაიჭირავს გოთუას ვერავინ სწრაფულ-მუხლოვანი,
ოდეს სამართალს გაექცეს და სჭირდეს შიში, გლოვანი,
ბოლოს ჩმახავდეს გაზეთში, ვით ბოვში მცირე წლოვანი,
სჯობს გამტყუნებას საქვეუნოთ, სირცხვილი სახელოვანი.

იროდს ჰკითხეს: ეგზომ, ტიკი ვით დასცალე ერთობ
სრულად
მიკვირს, ფული ვინ გიჯიბა, თვრები და ხარ მხიარულად?



სამშობლო ენა პოლონეთის სკოლებში.

მან სთქვა: შრომა მეზარება, ეცხოვრობ ისე მე მასხრულად,
ოდეს გინდა შემისყიდი ერთ ბოთლ ღვინოთ, ან ორ
ფრჩულად.

ფარელებ ამირანდები ერთმანეთზედა ჰკიდიან,
სადაც ადგილი გაჩნდება, მაბეზღრობაზე მიდიან,
ქუთათურ მასწავლებლებსა ცივ ადგილებში ჰყრიდიან
ამა საქმეს მემოწმების მეცნიერი მე შიმპანზე. —
საძნელოა ოდეს ზოლი მათრახიდან გაჩნდეს ტანზე,
ჯვარედინათ გადაგდევდეს ერთი სიგრძით, ერთი განზე
გტკიოდეს და გაუვირებდეს, სდგე საჯაროთ მოედანზე.

**ბლიკვაძე.**

---

## გამოცანა

(ლეჩხუმისათვის)

გამოცანას მოგახსენებთ
ადვილ გასაგები არის:
ხნიერია, წვერს იღებავს
თან ცრუ და ქვემძრომი არის.

თეთრ კბილა და გულ-აზრ შავა,
კრამოლნიკთა მტერი არის,
ხალხის ფულის გაფლანგვისთვის
მან ციმბირიც მოიარის.

დღეს ბედმა კვლავ გაუღიმა
და ლეჩხუმის ბრძენი არის
თან „სატახტო“ ცაგერისა
ბელად მბრძანებელი არის,

ერთობის დროს შენაცოდებს
ახლა სტირის, ახლა ნანობს
და სინდისის გასაწმენდათ
ზედმიწევნით „დურმიშხანობს“.

**რუქა,**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერილები ეშმაკისადმი.

**ქ. ბაქო.** ჩვენმა ქალებმა შანტაჟისტობაში კაცებს გადააჭარბეს. მართალია ისინი შარა გზაზე არ ხვდებიან და არ ძარცვავენ, მაგრამ მათ მიერ გამოგონილი „ბლაგოროდნი შანტაჟი“ არა ნაკლებია ძარცვა-გლეჯაზე. მოიგონეს რაღაც ოხერი ვე-„ჩერები“ და ლამის არის ყველას ჯიბეები დაუცალიერონ. დღე არ გავა ისე, რომ „ვეჩერი“ არ გამართონ, ვითომ და ვიღაც სტუდენტის სასარგებლოთ, ნამდვილათ კი, ვეჩერიდან შემოსულ ფულებით მოდის კაბებს იკერავენ. გასამტყუნარიც არ არის მათი ასეთი საქციელი, ქმრების ჯამაგირები არ ყოფნით და მაშ რა ქნან? ქალებზე არა ნაკლებ დანაშაული არიან ბეგლარ მიქელაძე და ნიკო ნაკაშიძე. მათი ცოლები ბელადები არიან ამ საქმეში. რომ ბოლო მოუღოთ ამგვარ შანტაჟს, გთხოვთ ან თქვენ თვითონ ჩამოხვიდეთ და რამოდენიმე ლექცია წაუკითხოთ მათ „წყვიდინ“ „კუდინის“ შესახებ და ან გამოგზავნოთ თქვენი „მათრახსპერმაკუდინი“.

უცნობი.

—

**ს. წალენჯიხი** (სამეგრელო). აუცილებლათ საჭიროა იაკობ შანავას გამათრახება. აგერ რამდენი ხანია მან გახსნა რაღაც დუქანი, რომელსაც კოოპერაციას უწოდებს. ვაჭრობის უნარი მეტისმეტათ განვითარებული აქვს იაკობს. ყველაზე მეტ ყურადღებას ის აბრეშუმის პარკის ყიდვას აქცევს, რადგან აქედან მეტი სარგებლობა აქვს. დადის სოფლათ, ყიდულობს პარკს და ფულის მაგიერ რაღაც კვიტანციებს ურიგებს. როცა ფულისთვის მიმართავენ ის თავის დუქანზე უთითებს: წადით და ფულის მაგიერ საქონელი წაიღეთო. საქონელს-კი მამასისხლათ ყიდის. საწყალ ხალხს მეტი რა გზა აქვს, იაკობის კლანჭებს ვეღარ ახწევს თავს. მე მგონია მარტო მათრახი არ იკმარებს მისთვის, სპერმაკუდინიც საჭირო იქნება. იმედია ჩქარა შეუდგებით საქმეს.

ეშმაკის თანამოაზრე.

—

**ს. სუფსა.** ძლიერ ავათ გაგვიხთა კოწია გურგენაძე, (შტრეიკბეხერობის ანთება აქვს). კოწია გუჯაბიძე (ცრუ მოწმეთა ორგანიზაცია სტკივა) და თომა კოიძე. მოგვაშველეთ, როგორმე თქვენი კუთხეული „სპერმაკუდინი“, თორემ დავიღუპებით.

ოლოლე.

—

**ს. ქორეისუბანი.** ხალხისთვის თავდადებული „დიდებული“ რაჟდენი, აპოლონ მედუქნე და მისი „ძმობილი“ იოსები ისე გაიტაცა ხალხის სამსახურმა და საერთო საქმისთვის თავდადებამ, რომ თუ ჩქარა არ მოგვაშველე შენი მათრახი და კუდინი ხელიდან გამოგვეცლებიან და ბედკრული საქართველო დაკარგავს საუკეთესო შვილებს.

აქაური გლეხი.

—

**ს. გორდი.** თქვენმა სპერმაკუდინმა ფრიად დიდი გავლენა იქონია გრიგოლ ხუცესზე. ის სიხარულით ფეხზე აღარ დგას და ყველას, გამვლელ-გამომვლელს „ეშმაკის მათრახის“ № 15-ს აჩვენებს და ეხვეწება: მიშველეთ რამე. ამომშალეთ ამ წყეული ჟურნალიდანო“, ეხლა „ჭეშმარიტი ხუცესი“ ანტონი და მამასახლისი ილ. ჩიხლაძე მუხლმოდრეკით მეხვეწებიან ისინიც განკურნოთ, როგორმე. პირველი მეტისმეტათ გაიტაცა „ხუცურმა საქმემ“ და მეორე „კრამოლნიკების დევნამ“, მისმა ამ მხრით მოღვაწეობამ ხონამდეც კი უწია. იმედია თხოვნას შეასრულებთ.

გუგუ.

—

**ახალ-სენაკი.** თუმცა საზოგადოთ ყველგან ასეა, მაგრამ ჩვენ სადგურზე მეტის მეტათ ფეხი მოიკიდა სხვა და სხვა დარგის „გამოიმასქნილებამ“. ისეთ მოხელეს ვერ ნახავ სადგურზე, რომ რამე „გამოიმასქნილებას“ არ ეწევოდეს. სადგურის უფროსის თანაშემწე გ. მაჭავარიანი პირველათ, თითქო სხვაფერ იქცეოდა, მაგრამ შემდეგ ისიც ჩაერია საერთო ფერხულში და ეხლა ასე ღიღინობს:

„სახელი ჩემი გიორგი,
გვარი მაჭავარიანი,
სიხარბეს არ წავეხდინე
კაცი ვიყავ გვარიანი.

ჩემ სიტყვას ვერ შევამაგრდი,
დავრჩი ენა ქარიანი,
იმას მაინც ვეცდები, რომ
ჯიბე მექნას ფარიანი.

„სტოროჟებს“ და „სტრელოჩნიკებს“
პირველ ძმობა შემოვფიცე,
მდაბლებს ხელი გაუწოდე
მომივიდა სიუვიცე;

ეხლა ვხედავ—შევცდი, მაგრამ
რა ვქნა? თავსა რა ქვა ვიცე?!“
—ეშმაკო, შენ მიეშველე,
მათრახისა კუდი სტკიცე!

ონისიმე.

—

**შორაპანი**. ეშმაკო! სულითა და გულით გთხოვთ ერთ დღეს მიიცალო, როგორმე, და სად. შორაპანში ჩამოხვიდე. მეტის მეტათ თავი აიგდო ბატა რაზმაძემ (სკლადის უფროსია) და თუ ერთი ლაზათიანათ არ გაგვიმათრახე თავის დღეში ხმას არ გაგცემთ. რომ გულნაკლული არ დარჩეს, ბატას შემდეგ სადგურის უფროსსაც გადაკრავ მათრახს მიზეზს თვითონ მიხვდება. შესაძლებელია „უდოკლადოთ“ არ შეგიშვან, იმ შემთხვევაში კანტორის მოსამსახურეებს ქრთამი მიეცი, (ძალიან დაჩვეული არიან) ქრთამათ შეიძლება თითო მათრახი გადაჰკრა, და მაშინ შეგიშვებენ. როცა ამას მორჩები ცოტა ვაჭრებიც შეგვეხურე, უმეტესათ კი მედუქნე სერგო და მის დუქანში მოთამაშეები.

შორაპნელი.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქ. ერევანი.** სწორეთ თავი მოგვაბეზრეს აქაურმა „ჭეშმარიტმა ქართველებმა“ თავიანთ „ვეჩერებით“. ასეთ „ვეჩერებს“ დღეში ოცდა ათს მართავენ. გვიხსენით როგორმე ასეთ „ქართველ მოღვაწეებისაგან“ და თქვენი კურთხეული მათრახით „ვეჩერებზე“ ხელი აალებინეთ.

ვალიკო.

—

**ს. ბალაჯარა.** ექვთიმე კალანდაძე გთხოვთ გააგებინოთ, შეიძლება მაქ, თფილისში რაიმე თავისუფალი ადგილი იყოს. ორი ალაგი არ ყოფნის აქ და მესამე უნდა. შეუძლია აქედან თფილისში იმსახუროს. საჭიროა აგრეთვე გააგებინოთ რა ფასებში იყიდება მაქ ღვინო და არაყი, რადგან აქ თითო დათრობა მეტად ძვირათ უჯდება. აქეთ თუ ვინმეს უნდა ალაგი ექვთიმეს მიმართოს, მოტყუებაში კაი ბიჭია. ყველას ისე მოატყუებს, როგორც ერთი ამხანაგი მოატყუა. ყველა ამის შემდეგ ექვთიმესთვის აუცილებლათ საჭიროა მათრახი და სპერმაკუდინი, რასაც იმედია არ დააყოვნებთ.

ციცკა.

—

**ტოლეს ქარხნიდან.**

ეშმაკო, შენი ჭირიმე, ძლიერ გვჭირდები დღესაო,
ბევრი საქმებიც რო გქონდეს ჩამოირბენდე ჩვენსაო,
რადგანაც შენ მათ ვერ იცნობ მე მოგიჯდები გვერდსაო.
გადგიშლი იმათ საქმეებს და მერე სახელ გვარსაო.
და მერე სხვებმა უცქიროს იმათი ზურგის წვასაო.
ვიმღერ და შენცა გამღერებ დავადიდინებ ბევრსაო
ვინც გითხრა ნუღარ დააკლებ სპერმაკუდინის წვენსაო.
ეხლა დავიწყოთ იქიდან ვინ ხვდება პირველ რიგსაო
ვინც „პაინიცობს“ ხშირადა არც დაიწუნებს თხლესაო
ევგენი, პლატონ, ნიკოი, მეხანიკ ოგანესაო.
ამათ უჭირე ორ-ორი, მერმე მივადგეთ სხვებსაო,
მალაქია ზარმაცია ვერ ანძრევს თეძოებსაო
ოსებაც ზის მის გვერდით სიტყვით ლაყბობენ ბევრსაო,
საქმით არას აკეთებენ სხვებსაც უშლიან ხელსაო
ამათაც ნუღა მოაკლებ შენი მათრახის წვერსაო.

ლახვარი.

—

**ბაღდათი.** ძმაო ეშმაკო! არსად ისეთი მოთხოვნილება არაა შენი „სპერმაკუდინის“, როგორც ჩვენ ბაღდათში. ავიღოთ თუნდაც ბაღდათის დელიჟანის ამხანაგობა, მეორე წელიწადია რაც ამხანაგობას ყ. დათეშიძისაგან ნაყიდი დელიჟანები დაყავთ ქუთაისიდან ბაღდათამდე. ეგ არაფერი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ ბოლო დროს მეტის მეტათ დაუწყეს მგზავრებს ყვლეფა—ჯერ ერთი, რომ სიხარბის გამო ათის მაგიერ ოცი და ოცდაათი კაცი მიყავთ. როცა შიგ არ ეტევიან სახურავზე სხდებიან. გარდა ამისა დააწესეს ბარგზე განსაკუთრებული ფასი. თუ ღამე მოგიხდა წასვლა უეჭველათ უნდა ეზიარო და ისე გაემგზავრო, თორემ სიკვდილი სულ ადვილი საქმეა. ისე გადაგჩეხ ვენ სადმე რომ დაყვირებასაც ვეღარ მოასწრებ. მე მგონია ამის შემდეგ თვით შენ არ მოგითმენს გული, რომ ერთი არ გვინახულო და ერთი ლაზათიანათ არ შეგვიხურო ჩვენი ამხანაგობა. აუცილებლათ საჭიროა, როგორც მათრახი ისე „კუდინი“. ამით შენ სიკვდილისგან დაიხსნი მრავალ მგზავრს და შენ ღვაწლსაც არ დავივიწყებთ.

გ. ჩი—ძე.

**ს. ციხისუბანი.**

ამხანაგო ეშმაკო! ეს თხოვნა გამიგონე,
ამ ჩვენ ციხისუბნელებს რაიმე ჩააგონე.
ვინ ბეღელში დაძვრება, ვინ გოჭების ქურდია
საჭიროა გადაჰკრა მათ მათრახის კუდია.
ქურდსა და ავაზაკებს აქ ხატით იძიებენ
თუ ფიც-ქვეშ არ გამოტყდა თავისუფლათ ტიებენ,
დღეს შენ შემოგცქერივართ, ხატიც გულს გვისვენია
და მოსვლა არ ჩამოსვლა ეხლა ნება შენია.

**ანტონ ციხისუბნელი.**

**ქვედა ბახვი.** საყვარელო ბიძია ეშმაკო! უეჭველია ან შენ კი მემდური, ჩემ წერილს ყურადღებას არ აქცევ, ან ფოსტის მოხელეები მემადლიერებიან და ისინი ხსნიან შენთან მოსვლამდე. ჩვენი გასაჭირი, ბიძია, ისეთ პატარა წერილში არ ჩაეტევა. აქ მარტო „პავლისტებზე“ რომ მოგიყვე, ისიც იკმარებს, თორემ მამა ბარნაბეს „მღვდელ“-მოქმედებანი ხომ მეტი იქნება.

ბარნაბე ძლიერ განრისხებულია ამ ბოლო დროს და წარმოიდგინე მეზობლებს საზიარო წყაროზე სიარულიც კი აუკრძალა. შემოილობა ეკლით, წალდით ალჭურვილი დარაჯათ დაუდგა და თუ ვინმე გაეკარა თავს უნდა გამოეთხოვოს. ეგზეკუციასა და სხვა ამისთანაებს ტყვილათ შესაშინებლათ გვპირდება.

რაიცა შეეხება ანტონ ნ-ძეს, პატარა ივანეს, გიგო და ერმილე ნ-შვილების საჭიროა დარიგება. იქნება თითონვე ჩამოანებონ თავი შავ-რაზმელების გვერდში დგომას და თუ დარიგება არ გასჭრის ხომ ამასაც ვნახავთ. დიომიდე ბასილაიშვილსა და სამსონ თენიეშვილზე ეს აღარ ითქმება, აქ პირდაპირ საჭიროა ცოტაოდენი კუდი მათრახისა.

**შენი კაკაბი.**

**გუბი.** დუქანს „სტუდენტი“ ვიხილე
დახლზე რო ჩამომჯდარიყო,
მივეხმატკბილე: „ძმაოჯან!
ვის უცდი, რისთვის მჯდარიყო?“
მან გამომძახა: მე ვარო
არლნების უსტაბაშიო,
მოქეიფე და მონარდე
სახელ-განთქმული ხალხშიო.
მე ვერ გამაძლო ამ სიტყვამ
და კვლავ შევკითხე ძმურათა:
„სად შეიძინე ეს ცოდნა,
რომელი ქვეყნის ყურათა?“
იმან მომიგო: პირველათ
გეახელ ავსტრიაშიო,
კარგს ვატარებდი დროებას
არფიანკებთან სმაშიო.
მეც გამიხარდა, რომ მამულს
შვილი ეგეთი ეპადა,
და ეს წერილი დავსწერე
„მათრახში“ ჩასაგდებადა.




სააღდგომო სადილები

## „გურულ მჭედელს".

(პასუხათ)

საცოდავო ხარიტონა,
თავი რომ გაქვს ბუკის დონა,
შიგ რა ცოდვამ არ ჩასახა
ჭკუა ერთი დრამის წონა?
შენ რა გაფედერალისტებს
შე საბრალო წივ დამწვარო?
სჩანს მიხაკამ მოგატყუა
უგუნურო, სახედარო.
მითხარ: დონეს და მიხაკოს
რა აღუთქვეს სანადური,
რომ თქვენსავით ააქოთეთ
ისეც მყრალი „ნიშადური"?
იქნებ იმით ამაყობდეთ
ციხეში რომ შეგაბრძანეს?
ხომ პანღურით გამოგაგდეს
სისულელე რომ შეგწამეს!
ან კი თქვენ რა გეკამათოთ
კედელს ცერცვი შერჩეს განა?
კიდევ კარგი, რომ ძვირია
ჩვენში თქვენებრ სალახანა.

ხიც-ხიც.

რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა", რუსსკაია ქ. № 3.